დაიჯესტი

6 - 11 თებერვალი, 2022

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ამერიკის შეერთებული შტატები

7 თებერვალს, ამერიკის შეერთებული შტატების შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტმა გააფრთხილა მოსახლეობა ქვეყანაში შუალედური არჩევნების მოახლოებასთან ერთად საშინაო ტერორიზმის მზარდი რისკების შესახებ.

სახაზინო დეპარტამენტის ახალი დადგენილებით, ამერიკის შეერთებული შტატები 10 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობის ჯილდოს სთავაზობს დაინტერესებულ პირებს დაეშის ხორასანის პროვინციის ლიდერის, სანულაჰ ღაფარის ადგილსამყოფელის გაზიარების სანაცვლოდ.

გაერთიანებული სამეფო

შინაგან საქმეთა მინისტრის, პრიტი პატელის ანგარიშში სახელმწიფო უსაფრთხოების შესახებ, ხსენებულია ტერორიზმის კომპლექსური ანალიზის ცენტრის შეფასება (JTAC) ტერორიზმის საფრთხის დონის „მაღალიდან“ „არსებითამდე“ შემცირების შესახებ.

გერმანია

გერმანიის სადაზვერვო სამსახურის განცხადებით, შესაძლოა ევროპიდან ექსტრემისტების ავღანეთში გამგზავრება ალ კაიდაში გაწევრიანების მიზნით.

ისრაელი

ისრაელის თავდაცვის ძალების განცხადებით, 10 თებერვალს გამართულ სასამართლო პროცესზე სამი პალესტინელი მამაკაცი დამნაშავედ სცნეს ტერორისტული თავდასხმის დაგეგმვასა და განხორციელებაში, რომლის შედეგადაც ისრაელის ერთი მოქალაქე დაიღუპა.

საუდის არაბეთი

10 თებერვალს, იემენში მებრძოლმა კოალიციამ განაცხადა, რომ საუდის არაბეთის სამხრეთ რეგიონ აბჰაში, აეროპორტზე დრონით თავდასხმის შედეგად 12 ადამიანი დაშავდა. როგორც იემენის აჯანყებულთა სპიკერმა იეჰია სარიემ სოციალურ ქსელ ტვიტერზე დაწერა, აბჰას აეროპორტი იემენზე თავდასხმის განსახორციელებლად გამოიყენებოდა.

იემენი

ოფიციალურ წყაროზე დაყრდნობით, სანას ჩრდილოეთ რეგიონში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაიღუპა 22 ჯარისკაცი და დაშავდა - 100. სამხედრო სპეცოპერაციის მიზანს სანას ჩრდილოეთ ნაწილის მეამბოხეთა კონტროლისგან გათავისუფლება წარმოადგენდა.

სირია

7 თებერვალს, ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში, დაეშის მებრძოლმა ქალებმა, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ სირიის ბანაკში, სცადეს ქურთი მცველების გატაცება. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნულ მცდელობას მოჰყვა ცეცხლის გახსნა, რის გამოც გარდაიცვალა ერთი ბავშვი და დაიჭრა რამდენიმე ადამიანი.

პაკისტანი

პაკისტანის შეიარაღებული ძალების ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონი სეპარატისტი მებრძოლებისგან გაათავისუფლეს.

ირანი

6 თებერვალს, ირანის ოპოზიციური ჯგუფის ლიდერი წარსდგა სასამართლოზე. ჯამშიდ შარმადს ბრალად ედებოდა 2008, წელს მეჩეთზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის დაგეგმვა, რომლის დროსაც 14 ადამიანი დაიღუპა და დაშავდა 200-ზე მეტი.